

2202

26

1864

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1864.

СЕНТЯБРЬ.



საქართველოს

სახელმწიფო მასწავლებელი.

სეპტემბერი.

№ 29.

ТИФЛИСЬ.

ВЪ ТИПОГРАФИИ А. ЭНФИДЖИАНЦА и К-о.

ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВПЬСТНИКЪ“


продолжается.

Журналъ издается съ Іюля 1864 года, по утвержденной Святѣйшимъ Синодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одини прибавленія на русск. яз.—1 р. с.

სული-მწერს ყურნალებდ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. თასი წლის ყურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჩებში გაგზავნათ ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან., მარტო რუსულისათჳს ერთი მანეთი.

თქმის სჯულის-დებისა შემოკლებულად გამოიხატვის
 ესრეთ: «უკეთუ გნებავს შესლვა ცხოვრებასა, დაიმარ-
 ხე მცნებანი; რომელმან ისმინნეს სიტყუანი ჩემნი და
 რწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხოვრება სა-
 უკუნო, და სასჯელსა იგი არა შევიდეს» (იოან.
 თ. 5, მ. 24)—ბრძანა უფალმან იესო ქრისტემან, მოს-
 რულმან სოფლად წამებად და სჯად სიძარტლისა. თა-
 ნახმად და არა წინააღმდეგად ამისა მოქმედებს ღმერ-
 თი უოველთუის: აღმასრულებელი ბრძანებისა მისისა-
 ნი ჯილდოვდებიან და გვირგვინოსნდებიან ჰატვიტა და
 დიდებითა; ხოლო წინააღმდეგნი და შეურაცხმყოფნი მის-
 ნი ისჯებიან და იტანჯებიან სახილავად და სამაგა-
 ლითოდ ქუჭუნისა.—თუმცა ხან-და-ხან, ვხედავთ ჩუწნ,
 რომ მართალნი იტანჯებიან ქუჭუნაზედ და ითმენენ
 განსაცდელსა, მსგავსად იობისა, და ცოდვილნი ქედ-
 მალლობენ ბედნიერებით და მხიარულებით, ატანებენ
 ცხოვრებასა თვისსა: მაგრამ ესე არა მისთვის, ვითომც
 ღმერთი არის უსამართლო, განუკითხავი და არა მართლ-
 მსაჯული; არამედ მისთვის, რათა გამოიცადოს და გა-



მოსწინდეს ჭეშმარიტი სიკეთე და სიბოროტე მათი.
 უსამართლოება, ზირ-მოთნეობა, განუკითხველობა და
 თავის-ნებობა არის საკუთარი კუთვნილება ქრისტენი-
 რისა მსაჯულისა ანუ მოსამართლე კაცისა, და არა
 ღმერთისა. ამისთვის ბრძანებს წერილი: «მართალ-არს
 უფალი ეოველთა შინა გზათა მისთა» (ფსალ. 144 მ.
 17); იგი არს მართალი მსაჯული ჩუწნი
 (2 ტიმოთ. თ. 4, მ. 8), რომლისა თანა არა არს
 თუალ-ლება (რომ, თ. 2, მ. 11), და რომელი დღესა
 მოსვლისა მისისასა განსჯად სოფლისა, მიაგებს კა-
 ცად-კაცადსა საქმეთა მათთა ებრ (მათ. თავ. 16, მ. 27);—
 კეთილისა-თვის კეთილსა (ეფეს. თ. 6, მ. 8), ხოლო
 ბოროტისა-თვის ჭირსა და იწროებასა (რომ თ. 2,
 მ. 9).—მართლ-მსაჯულება მისი შეეხება არა მხოლოდ
 ცხადად და ნამდვილად გამოჩენილსა საქმესა, არამედ
 თვით სიტუეტათაცა და განზრახუათა, და ეოველთა მო-
 ძრობათა სულისა და ხორცისა ჩუწნისათა, სიტუვი-
 სა-ებრ ქრისტეს სახარებისა: «ეოველი სიტუეტა
 უკმი, რომელსა იტეოდენ კაცნი, მიჰსცენ სიტუეტა მის-



თვს დღესა მას სასჯელისასა » (მათ. თ. 12, მ. 37);—
და უსასუიდლოდ, ანუ დაუჯილდოვებელად არა დარ-
ჩება ღმერთის წინაშე არა-ფითარბიძე მცირე ქველის-სა-
ქმე, არცა ერთი სტაქანი წყალი, სიტყვისა-ებრ თუთ
უფლისა იესო ქრისტესა: «რომელმან ასუას ერთსა
მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახე-
ლად მოწათისა, ანინ გეტევი თქუწნ, არა წარუწუ-
მდეს (ესე იგი არა დაეკარგოს მას) სასუიდელი მისი »
(მათ. თ. 10, მ. 42).

ჰი კაცო! საშინელ-არს შთავარდნა ხელთა შინა მართლ-
მსაჯულისა ღმერთისათა; ვერ გამოიხსნი მისგან თავსა
შენსა ვერცა ქრთამითა, ვერცა შუამდგომელობითა მო-
უწისისა და მეგობრისათა, და ვერცა ტირილითა და კბი-
ლის ღრჭენითა შენითა; განუშორე ცოდუასა: ჩუწნ
გვეკვს მართალი, თუალ-უღები და პირ-მოუთნელი მსა-
ჯული! — მსაჯულნო და შთავარნო ქუწყანისანო! მო-
იგონეთ საქმესა შინა თვისსა მართლ-მსაჯული ღმერ-
თი, რომელმანცა მოგცა თქუწნ ღრლებით სჯული და
უფლებს, და მიბამეთ მას: ნუ განსდრეკთ სასწორისა სი-
მართლისასა, არამედ მართლად საჯეთ ქვრივნი და ობოლ-
ნი, მდიდარნი და ღარიბნი, ნაცნობნი და უცნობნი!

§ 17. ღმერთი არის ეოვლად-სახიერი. ეოვლად-

სახიერება ანუ უუდიდესი და უუსრულებელი უოველთა
სიკეთე ღუთისა მდგომარეობს მას შინა, რომ რო-
გორც თვითონ არის იგი გამოუთქმელი სიკეთე და
მშვენიერება, ეგრეთვე ნებავს მინიჭება კეთილისა თა-
ვის ქმნილებისა-თჳს, რადგენსაც მიიღებენ და რად-
გენსაც დაიტევენ.— უოვლად-სახიერება ღუთისა გამო-
ჩნდა ცხადად სოფლის შექმნაში, და დაცემული კაცის
აღდგინებაში, ესე იგი—ღმერთმან შექმნა სოფელი ესე
და ალაგსო იგი უოვლითა მშვენიერებითა არა თავი-
სა თვისისა-თჳს, არამედ ჩუწნ-თჳს,—რომ ჩუწნ ვი-
სიამოვნოთ და შემოქმედი ჩუწნი ვადიდოთ; და და-
სასრულ არა ინება მან დაცემულისა და დიდად შე-
ცოდებულისა კაცისა წარწემედა და ეშმაკის ხელში
საუკუნოდ შთაგდება, არამედ მოავლინა მე თვისი მხო-
ლოდ-შობილი და გამოიხსნა კაცთა ნათესავი მონე-
ბისაგან მტერისა. — კეთილ-მოწიწებით განმხილველი
უოვლისა ამის და სხვისაცა მრავლისა ზრუნვისა და
მოქმედებისა ღუთისა კაცისა-თჳს და ცხოველისა, კე-
თილითგან ვიდრე ბოროტადმდე, დიდითგან ვიდრე მცო-

რედმდე ნამდვილად სცნობს მრავალსა მოწულებასა და
სახიერებასა ღუთისასა, და განკვირებით ღაღად-ჰყოფს:
«ქემწუნარებელ და მოწუალე არს უფალი, სულ-გრძელ
და დიდად მოწუალე» (ფსალ. 102, მ. 8); «ტკბილ-არს
უფალი ყოველთა მიმართ, და წყალობანი მისნი ყო-
ველთა ზედა საქმეთა მისთა» (ფსალ. 144, მ. 9)!—
ამისთვის რომ მისგან გამოვალს (გამოდის) ყოველი
კეთილი და ყოველი ნიჭი სრული (იაკობ. თ. 1, მ. 17);
მან არა ჰრიდა მე თვისი, არამედ ჩუწნ ყოველთა-
თვის მიჰსცა იგი ტანჯუად და ჯუარ-ცმად (რომ. თ. 8, მ.
33); იგი მოსცემს (ესე იგი-ადლევს) უხვებით საზრდელ-
სა და საშვებელსა ყოველსა სორციელსა (ფს. 135,
მ. 25)—კაცთა, ზირუტეუთა და მართუწთა ყორნისათა,
რომელნი ხადიან მას (ფს. 146, მ. 9); ბრძანებითა მი-
სითა აღმოვალს მზე ბოროტთა ზედა და კეთილთა,
და სწვიმს მართალთა ზედა და ცრუთა (მათ. თ. 4, მ.
45); და მისთვის უძეტეს, რომ მან კვიძვილა ჩუწნ
უღირსნი, და აღგვითქვა გამოუთქმელი დიდება და ჰა-
ტივი ზეცათა შინა.—ჰემძარიტად, გარდამატებულ-არს

სიმდიდრე მადლისა და სახიერებისა ღმერთისა, სიტ-
კობებით ჩუწნ ზედა ქრისტე იესოს მიერ (ეფეს. თ.
2, მ. 7)!—

გმადლობდეთ მარადის ღმერთსა ჩუწნსა, ქრისტია-
ნენო, ეს-ოდენისა მოწყალებისა-თჳს ჩუწნ ზედა. უგრ-
მნობელობა ამისა და უმადურობა ღმერთისა არის ცოდ-
ვა უსაშინელესი და უძნელესი ყოველთა ცოდვათა და
უსჯულაებათა.—ეგრეთვე, ვიყვნეთ ჩუწნცა კეთილ და
მოწყალე ყოველთა-თჳს, მტერისა და მოუყრისა, ვი-
თარცა მამა ჩუწნი ზეციერი მოწყალე არს ბორო-
ტთა და კეთილთა, ცრუთა და მართალთა-თჳს. ცოდ-
ვასა შინა ნუ სასოწარკვეთილ ვიქმნებით, არამედ აღ-
უარეთ იგი ცრემლით მამასა ჩუწნსა ზეცათასა და გან-
ბეწმედს ჩუწნ ყოვლისგან ბიწისა. ვილოცოთ და ვე-
ვედროთ, მიუტუკოთ და მოკვიტუკუბს.

§ 18. ღმერთი არის ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი. ჭემმარ-
ტება ღმერთისა არის იგი, რომ ყოველი სიტუა და
ბრძანება, და ყოველი აღთქმა მისი — მართალთა-თვის
ნეტარებისა და ცხოვრებისა საუკუნოდსა, ხოლო ცოდ-
ვილთა-თვის ტანჯვისა და გენიისა—არის უეჭველი,
მართალი და უტუარნი, და თავის დროზედ აღსრულ-
დება ისრე, როგორცა ბრძანა ჰირძან ღმერთისამან და
გამოკვიცხადა ჩუწნ საღმრთო წერილში. — ამისთვის

გვრწამს ჩუქნი და ვამბობთ ღმერთისა-თვის, ვითარცა
ვისწავეთ მისგან: «სიძარტლე შენი სიძარტლე არს
საუკუნო და სიტყუა შენი ჭეშმარიტ»; და კუალად:
«ღმერთი სარწმუნოდ ჰკიეს და უარის-ყოფა თავისა
თვისისა (ესე იგი—შეცულა თავის სიტყვისა) ვერ ძალ-
უმს მას (2 ტიმ თ. 2, მ. 13); და ყოველნი აღთქმა-
ნი მისნი არიან წ ე და ა მ ი ნ , ესე იგი—ნამდვილ-
ნი და ჭეშმარიტნი (2 კორინთ. თ. 1, მ. 18 — 20); ეკ-
რეთჟე—ყოველნი მრისხანებანი მისნი ცოდვილთა-თვის
არიან უტყუარნი, სიტყვისა-ებრ ზავლე მოციქულისა: «ნუ
სცთებით, ღმერთი არა შეურაცხ-იქმნების, რამეთუ რად-
ცა იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს», ესე იგი—
ცხოვრება საუკუნო ანუ სატანჯველი დაუსრულებელი
(ვალატ. თ. 6, მ. 7).—და ესრეთ უეჭველი-ა, რომ
იოტა ერთი, გინა რქა ერთი (ესე იგი—მცირე რად-
მე) არა დაშთება ღმერთს სჯულისაგან და წინასწარ-
მეტყველთა დაუსრულებელად (მათ. თ. 5, მ. 18).

ქრისტიანენო! ღმერთსა ჩუქნსა აწა-ვინ სადა მო-
უტყუებია: ვისაცა რა აღუთქუა—აღუსრულა. აღუთქუა
მან მაგალითებრ, აბრამს განმრავლება შთამომავლობი-

სა—და განმრავლდა ნათესავი მისი ვითარცა ქვიშა ზღვისა და ვარსკვლავნი ცისა; აღუთქვა კაცთა მოკვინება მაცხოვრისა—და მოვიდა იგი. აღუთქვა მოწმუნეთა თვისთა სასუფეველი წათა და ცხოვრება საუკუნო—და მოკვლით აღდგომასა მკუდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესას!—მხოლოდ ვიყვნეთ ჩუენ მართალ და მტკიცე საწმუნოებითა და სასოებითა,—და არა-სადა სიბრძნვილეულ-ვიქმნებით.

§ 19. ღმერთი არის წმიდა ანუ უუწმიდესი ეოველთა. ესე იგი—ის არის სრულიად თავისუფალი და განმორებული ეოვლისა უწმიდურებისა და—ბიწიერებისაგან როგორც ნებით, ეგრეთვე მოქმედებით, და უეჭარს მას ეოველი სიწმიდე, უბიწოება და უმანკოება თავის ქმნილებაში,—მათში, რომელნიცა არიან მქმნილნი მისგან არა განხრწნისა—თვს ცოდვითა და უსჯულოებითა, არამედ სიწმიდისა და კეთილ-ზნობისა-თვის; და ეოველი წინააღმდეგი ბუნებითისა და წერილობითისა სჯულისა ქცევა და მოქმედება გონიერისა არსებისა ფრიად სამაგელ-არს და სამუღელ ღუთისა-თვის. მხოლოდ ქცევანი და მოქმედებანი უგონოთა არსებათა ანუ ჰირუტყუთა, ვითარცა შესაფერნი

მათის ბუნებისანი, რომლისა მიზეზი და შემოქმედი
 არის თვით უფალი ღმერთი, არა-ოდეს არა შეაკი-
 ნებენ და არცა წინააღმდეგების სიწმიდესა ღმერთის-
 სასა. ამისთვის დალაღებენ დაუცხრომელად წმიდანი
 ანგელოზნი და კაცნი: «წმიდა არს, წმიდა არს, წმი-
 და არს უფალი საბაოთ», და ამისთვის გვიბრძანებს
 უფალი ჩუქნცა ცოდვილთა: «წმიდა იყვენით, ვითარ-
 ცა მე წმიდა ვარ უფალი ღმერთი თქუნი» (ლევიტ.
 თავ. 19, მ. 2); და კუალად ამისთვის იტყვის უსაღ-
 მუნთა მწერალი დავით: «რამეთუ შენ ღმერთი არს
 ეკრე ხარ, ვითარმცა გინდა უსჯულოება; არა დაი-
 კვიდროს შენთანა უკეთუბან, არცა დადკენ უსჯულო-
 ნი წინაშე თუალთა შენთა» (ფს. 5, მ. 5—6).

ჴეშმარიტად, წმიდა არს უფალი ღმერთი ჩუქნი, და
 არა-ვინ არს წმიდა სხუა ვითარ იგი. ამისთვის ითხოვს
 იგი ჩუქნგან სიწმიდესა და ცხორებასა მისგან მოცუ-
 მულისა ჩუქნდა სჯულისა-ებრ.—ვიყენეთ ჩუქნცა წმი-
 დანი სუფითა, გუფითა და სოცითა, რათა ღმერთი
 ვინილოთ, და რათა სიწმიდე ჩუქნი არა იქნეს ფარ-
 სეკლული, რომლისა-თვის იტყვის უფალი: «კაჲ თქუნი-
 და მწიგნობარნი და ფარისევლები ორგულნი, რამე-
 6

თუ განკვეთილთ გარეშესა, ხოლო შინაგან სავსე ხართ
ნატაცებითა და არა-წმიდებითა . — განკვეთილთ უკუწ,
ქრისტისანთ, პირველად შინაგანი, რათა გარეგანიცა ჩუწ-
ნი იყოს წმიდა და ღმრთის-სათნო.

§20. ღმერთი არის ს ა უ კ უ ნ ო ანუ მარადის-
მყოფი, ესე იგი—მას არა აქუწ არცა დასაბამი და
არცა დასასრული თავის მყოფობისა,—და არა განი-
სასღმრება მყოფობა მისი დროებითა. ამისთვის იწო-
დება იგი საღმრთო წერილში მეუფედ საუკუნოდ, რომ-
ელი მარადის ცხოველ-არს (მეორე სჯ. თ. 32, მ.
40); ისა. თ. 40, მ. 28; იერემ. თ. 10, მ. 10) და
ჰკიეს საუკუნეთა უკუნისამდე, და ნათესავითი ნათესა-
ვადმდე (ფს. 89, მ. 2. 3); ეგრეთვე—იწოდება პირველად
და უკანასკნელად, რომლისა წინ არა-ვინ და არა-რს
ყოფილა, და არცა შემდგომ მისსა იქმნების რა, ვი-
ნადგან ღმერთი მხოლოდ არის უკუდავი (1 ტიმ. თ.
6, მ. 16), და ყოველი ხილული ჩუწნ-მიერ — ცა და
ქუწყანა—არის დროებითი, ანუ განხრწნადი და წარ-
მავალი. მხოლოდ მადლმან საუკუნოდსა და მარადის
ცხოველისა ღმრთისამან მიანიჭა უკუდავება გონიერთა

არსებათა—ანგელოზთა და კაცთა; მაგრამ უკუდავება ანუ
საუკუნო მყოფობა ამათი არის განსაზღვრული, შემოკ-
ლებული და ერთ-კერძო, და არა სრული, ვინაჲდგან ამათ
მიუღიათ დასაწეისი თავის მყოფობისა, და მხოლოდ
დასასრული არა ექმნებათ.—ეგრეთვე, საუკუნო მყოფო-
ბა ღმთისა არის უმაღლესი ყოვლისა დროებისა და
სრულიად განუსაზღვრებელი და განუსომელი წლითა
და თვითა, დღითა და ჟამითა; ამისთვის არის თქმუ-
ლი, რომელ ღმერთმან დასხნა ჟამნი და წელნი თვი-
სითა ხელმწიფებითა (საქმე მოც. თ. 1, მ. 7), და—ერ-
თი დღე უფლისა-თვის ვითარცა ათასი წელი, და ათა-
სი წელი ვითარცა ერთი დღე (2 პეტ. თ. 3, მ. 8), ესე
იგი—ღმთისა-თვის არა იყოფება დროება ნაწილებად
და არცა ითქმის: დღეს, ხვალ, გუშინ და სხ...; არა-
მედ ყოველი დროება—საუკუნითგან და ვიდრე უკუნი-
სამდე—არის მისთვის ვითარცა აწმყო დრო და დღე-
ინდელი დღე.

კეთილ-მორწმუნენო ქრისტეანენო! ღმერთი ჩუნი
უკუნისამდე ჰგოს, და ყოველნი აღთქმანი მისნი ჩუნი-

და ეგრეთვე საუკუნენი არიან: არცა ნეტარებასა აქუს დასა-
სრული და არცა სატანჯველსა. — ხოლო ყოველი ქრისტი-
ანი და კაცობრივი — კეთილი და ბოროტი, ავი და კარგი —
დროებითი — და მსწრაფად წარმავალი, ვითარცა თივა და
ვითარცა ყვავილი ველისა. ვეძიებდეთ უკრეს სსსრებით დი-
დებას და ზატივსა წარუგაფსა და დაუსრულებელსა; და
ქრისტიანისა ყოველივეს მივიღებდეთ და დაკითხინდეთ —
კეთილსა ღმთისდამი მადლობითა და სათნოდ მისა ხმარე-
ბითა, ხოლო ბოროტსა ეგრეთვე მადლობითა და სულ-
გრძელბითა.

§ 21. ღმერთი არის შეუცვალე ბელი ანუ
შეუცვლელი. ესე იგი — მას არა აქუს არა ვითარიმე
ცუდილება მეოფობისა, სახისა და მდგომარეობისა,
ვინა ბუნებისა: ესენი შეეხებიან მხოლოდ ღმთის ქმნი-
ლებასა, და არა თვით ღმერთსა, მაგალითებრ: ეძმაკი
იყო ზირველად ანგელოზი კეთილი, და მერმე გამოი-
ცუდა ზნე და შეიქმნა ბოროტი სული; კაცი იქმნე-
ბა ჯერ ზატარა-ემაწვილი, მერმე გახდება სრულ კა-
ცად, და ბოლოს მოხუცდება და მოკრძობა; ეგრეთვე —
კაცი იქმნება ხან მრისხანედ ხან წყნარად; ხან ბორო-
ტად ხან კეთილად, ხან სნეულად ხან მთელად, ხან
მდიდრად ხან ღარიბად, და სხუანი . . . ხოლო ღმერთი

არის ეოფელთს ერთი და იგივე—ეოფლითურთ შეუ-
ცუალებელი და შეურეველი უკუნითი უკუნისამდე. ამას
გვამცნებს და გვიძვირებს .თვთ უფალი სიტყვითა
ამით: «მე ვარ უფალი ღმერთი თქუნი, და არა შევი-
ცუალები» (მალაქ. თ. 3, მ. 6); ამისთვისვე იტევის წმი-
და იაკობ მოციქული, მმა უფლისა: «ღუთისათანა არა
არს ცუალება გინა თუ ქცევისა აჩრდილი (იაკობ. თ.
1, მ. 17), და ამას აღიარებს ცხადად წმიდა მეფე
და წინასწარმეტყველი დაუით: «დასაბამსა შენ, უფა-
ლო, ქუტყანა დააფუძნე, და ქმნულნი ხელთა შენთა-
ნი ცანი არიან. იგინი წარხდებიან, ხოლო შენ ჰკიე,
და ეოფელნი ვითარცა სამოსელნი დაძველდენ, და ვი-
თარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი, და იცვალნენ.
ხოლო შენ თავადი იგივე ხარ, და წელიწადნი შენნი
არა მოაკლდენ» (ფს. 101, მ. 26. 27).

მხოლოდ ზოგან არის თქმული საღმრთო წერილ-
ში ღმერთზედ, ვითომც იგი შეინანებს ანუ
დაფიქრებს თავის მოქმედებისა-თვს, ესე იგი
—ვითომც გამოიცვლის თავის ფიქრსა და დაარღვევს

თავის განკარგულებასა (მაგალით. შექმნათა თ. 6, მ. 6;
1 მეფეთა თ. 15, მ. 11); მაგრამ ეს აღნიშნავს არა
ცვლილებასა ღმრთის ბუნებისა და თვისებისასა, არამედ
არის ნათქვამი მას-ზედა კაცობრივად, და მოასწავს
ვებს მრისხანებასა მისსა საშინელთა ბოროტმოქმედე-
ბათათვის კაცთა,—და ესეცა არა-ოდეს არა ემსგავსება
კაცის ცვლილებასა მრისხანების და გაჯავრების დროსა,
როდესაც სრულიად შეეცვლება მას სახე, სიტუა, აზ-
რი და მოქმედება, და დაჰკარგავს გონებასა და კა-
ცობასა.

და ესრეთ, ღმერთი არის უცვალელები და შეურყე-
ველი,—და ითხოვს ჩუქნგან არა ყამითი ყამად ცვლი-
ლებასა და დაუცხრომელად ანუ განბნულად ქცევასა და
მოქმედებასა, არამედ სიმტკიცესა და სიმკვიდრესა საქ-
მეთა შინა კეთილთა. ამისთვის ვიყენეთ ჩუქნცა შეუძ-
ვრელ და შეურყეველ ბოროტისა-თვის და მსწრათელ-მოძ-
რავ კეთილისა-თვის. — ხოლო უკეთუ ცვლილება ჩუქნი-
სა ბუნებისა-თვის ბევრგან საჭიროა და სახმარო, ამის-
თვის ვეცადნეთ, რათა ვიცვალნეთ ჩუქნი არა კეთილისა-
გან ბოროტად, არამედ ბოროტისაგან კეთილად, ანუ კე-
თილისაგან უფრო და უფრო კეთილად.

§ 22. ღმერთი არის ნ ე ტ ა რ ი. ნეტარება ღმერთისა არის დაუსრულებელი სიხარული და მხიარულება მისი ქონებისა და სიღვისა-თჳს თჳის შორის ეოვლისა სრულებისა და სიკეთისა. ამისთჳს იტყვის საღმრთო წერილი: წინაშე ზირსა უფლისასა არს სიხარული, და შვენიერება მარჯვენესა შინა მისსა სრულიად (ფს. 15, მ. 10), და არა აქჳს მას არა-ვითარემე ნაკლულევანება (საქ. მოც. თ. 17, მ. 25), არამედ—არის ეოვლითურთ სავსე, კმაყოფილი და ნეტარი, ვითარცა მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა (1 ტიმ. თ. 6, მ. 16).

და ესრეთ სავსებისაგან ნეტარებისა ღმერთისა ჩჳსნცა მოკულოთ ნეტარებასა და სიხარულსა დაუსრულებელსა, ვითარცა შვილ ღმერთისად ქმნილნი მადლითა და სარწმუნოებითა ქრისტესითა. ძიება ნეტარებისა და მხიარულებისა გარეშე ღმერთისა ემსგავსება მას, უკეთუ ვინმე იძაღს წყარო წყლისა ჳაერსა შინა.—ჰი ვითარ სცთუბიან მოუწარენი და დღითი-დღე მეძიებულნი სოფლიერისა—წუთ-ყამიერისა შვეებისა და მხიარულებისნი!

§ 23. ღმერთი არის ე რ თ ი, ესე იგი—არა-ვინ არის და არცა იქმნება მსგავსი მისი არცა ბუნები-

თა და არცა თვისებითა, არცა ცასა და არცა ქუჭ-
უანასა ზედა; არამედ ერთი მხოლოდ იგი არის საე-
სე ყოვლითა სრულებითა უაღმატებულესად და შეუ-
თანასწორებელად ყოველთა. ამისთვის თვით უფალმან
ღმერთმან მისცა ერსა თვისსა—ისრაილსა უპირველეს
ყოველთა ესრეთი მცნება: «მე ვარ უფალი ღმერთი
შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხჳანი გარეშე
ჩემსა» (გამოს. თ. 20, მ. 2—3). განსამტკიცებელად ერთ-
ღუთაების ცნობაში და ჰატვიის-ცემაში, მოსე წინას-
წარმეტყველი ხშირად უძეორებდა ერსა ისრაილისასა
მცნებასა ამას, ვითარცა უსაჭიროესსა, და ეტყოდა:
«ისმინე ისრაილო, უფალი ღმერთი თქუჭნი, უფალი
ერთ არს, და არა-ვინ არს ღმერთ თვინიერ მისა»
(ძეორ. სჯულ. თ. 6, 4; და თ. 4, მ. 39).—მსგავსადვე ამი-
სა ამბობს წმიდა მეფე და მეფსალმუნე დავით ლოც-
უასა შინა თვისსა ღუთისადმი: «დიდ ხარ შენ, უფა-
ლო, და მოქმედი საკვირველებათა, შენ ხარ ღმერთი
მხოლო . . . » (ფსალმ. 85, მ. 10). ხოლო ახალს აღ-
თქმაში ერთობა ღუთისა ცხადად მტკიცდება ამა სიტ-

უდაბნო წმიდისა წინამორბედისა იოანე ნათლის- მცემელისა.

ესე უდაბნო გამოშორებულაჲს დაჳით გარესჳის უდაბნოსაგან ათითა ვიდრეჲ უტევანიითა, და იხილუების იგი შორითჲუე ყარაიის მინდრისაგან წვეკსა შინა მადლისა მთისასა დასაკალით კერძო მზირალსა, და თხემსა მისსა ზედა მღვდლმარჲ საყარაულთა გოშვი (1) მრჲჲალი უკარო, რომლისა სითუთრე შესაძლებულ-არს დანახჲად ჭოგრისა მიერ ტფილისის მთა წმიდისაგან ყამსა მზის დასკლისასა, ვითარ იგი იხილუების ჭოგრითაჲუე ნაწილნი ტფილისისანი და თუთრად გალესილბანი შენობათა მისთანი ამა უდაბნოსაგან ყამსა მზის აღმოსკლისასა. ხოლო კაცი მისრჲული ძირსა მის მთისასა იხილავს სრჲულიად მონასტერსა, ესე იგი გალავნის წინა კედელსა მისსა, ფირჲუსა გუმბათსა სამრეკლოსასა, სახლსა წინამძღჲრისასა, და ქჲახთა შინა მის მთისათა კართა და სარკმელთა სენაკთასა, და ოთხ კუთხედსა გოშკსა გალავნის ბჳისასა; და შეუდგების რა ვიწროსა აღმართსა გზასა მონასტრისასა ჩრდილოდ კერძო, სრჲულიად უხინო იქმნების მონასტერი თჲალთაგან; და აღსრული მუნ, შევალს ხსენებულისა მის ოთხ კუთხედისა გოშკისა ბჳის მიერ გალავან-

(1) ამას გოშკსა აქვს გზა შესაკალი თუით მონასტრიდამ შეხჲრეტილი კლდე ვიდრე გოშკადმდე, და მის მიერ აღვალს მას შინა ყარაული, სადედგანცა ყოკლით კერძო ხედავს შორს ყოკელთა სავანთა და მიმომავალთა. ეგრეთჲე აქვს დაჳით გარესჳის უდაბნოს გოშკსაცა მონასტრიდამ დაფარული ყარაულის ასასლუელი.

სა შინა მონასტრისას, რომელიცა იქმნების სიგრიძით ვიდრე ოც და ხუთ
საყენადმდე, და სიგანით თვით უგრეტელესა ადგილსა, არა უმეტეს ხუ-
თის საყენისა, შემოხსენებულისა მის გალანის კედლიდამ, ვიდრე კედ-
ლადმდე და კლდისა მის, რომელსა შინა გამოკუჭთილ არს მონასტერი
ესე, და არს შესახედავით რეტა სამ ძვიდე. ქუჭმოსა ძვიდესა შინა არს
ეკკლესია წმიდისა იოანე ნათლის-მცემლის შობისა, გამოკუჭთილი მთასა
მას შინა სიგრიძით 6 საყენი და ერთი ჩარქი, და სიგანით 3 $\frac{1}{2}$ საყენი,
ხოლო სიმაღლით 4 საყენი კამარქდად გამოჭრილი. კანკელი მისი არს
გაჯით შენებულ და შახაქად გამოჭრილ, ხოლო ხატნი ტილოზედ და-
ხატულ, სადაცა აღესრულების მარადელე საღმრთო მსახურებაჲ. მარჯუნივ
ამა ეკკლესიის საკურთხეველისა არს ეკუდერი წმიდისა დიდისა მოწა-
მისა დიმიტრისა, რომელსა შინა დამარხულ არიან საჩინონი გუამნი. ამა
ეკუდრის სარკმლისაგან მიიღებს სინათლესა საკურთხეველი იგი ნათლის-
მცემლის ეკკლესიისა, ხოლო სრულიად ეკკლესია ესე სამხრეთის კედ-
ლის სამის სარკმლისაგან. ხოლო მარცხნივ საკურთხეველისა ამის არს
ეკუდერივე უშინაგანაესად გამოკუჭთილი სიგრიძით 4 საყენი და ერთი ჩა-
რქი, და სიგანით 4 საყენი, რომელიცა არს სამკუჭთლოდ ამა ნათლის-
მცემლის ეკკლესიისა და საღაროდ, და არა საითმე შევაღს მას შინა
სინათლე და არს სრულიად ბნელ. სამკაულნი და შესამოსელნი ძველნი
და ახალნი ჭქონან საკმაოდ, და ეგრეთვე ბიბლიოტიკა და ძველნი წერილ-
ნი ეტრატზედ ნაწილნი. დასავალით ამა ეკკლესიისა, გამოკუჭთილ-არს
პალატა, რომელიცა არს სიგრიძით 5 საყენი და ნახევარ ადგი, და სი-
განით 3 საყენი, ხოლო სიმაღლით 2 $\frac{1}{2}$ საყენი, და ტრახუზი განწყო-
ბილ-არს მას შინა მსგავსად დავით გარესჯის ტრახუზისა დათუძნებულა
ბურჯთა ზედა: ხოლო თავს საჯდომსა წინამძღუტრისასა მარჯუნივ და მარ-
ცხნივ გამოკუჭთილ არიან ბნელნი ქუაბნი, რომელნიცა არიან მარნად ჭ საკუ-
ჭნაოდ; და ხოლო ტრახუზის შესავალს კარის თავსა ზედა არს სამწიგნო-
ბრე, სადაცა აღხდების მწიგნობარი და ივითხავს სწავლასა, გინა მამათ ცხო-
ვრებასა უამსა ზურის ჭამისასა, და ისმენენ ძმანი მღუმარებით, ეგრეთ ვითარ-

ცა დაკით გარეჟის ტრავმისა ზედა. ხოლო გარეთ გვერდით ამა ჰალატისა
არს სამზუნჯეულთ, სახაბაზო, და რადენნიმე სენაკნი ამათს რიგსა ში-
ნა გამოკვეთილნი. მეორესა ძვიდესა შინა არიან ქვითვირით ნაშენნი,
სამრეკლო მდგომარე თავსა ზედა ჰალატის გარისასა, და მისსავე რიგ-
სა შინა სახლი წინამძღურისა, და რადენნიმე სენაკნი გამოკვეთილნი: და
თავსა ამა სენაკთასა მცირე ეკკლესიას ღმთის-მშობლის მიტრულებისა, და
ბიბლიოტიკა. ხოლო ყოველნივე გამოკვეთილებანი მთასა ამას შინა დი-
დნი და მცირენი არიან ვიდრე ოც და ათხუთმეტადმდე, გარდა გალანის გა-
რეშეთა სენაკთასა. ესე ყოველნი გამოკრულნი არიან გაჟით გალე-
სილ, გარნა არა ეგრეთ ნოტიონი, ვითარცა სენაკნი დაკით გარესჟის სა-
ვანისანი, ვინადგან დილის ათის საათიდგან ვიდრე დასლუნადმდე მცხინ-
ვარებს მზე ჰიჩის-ჰიჩ აღმართებულისა მთისა მის ქუბთა შინა, რა-
მელთა შინაცა ჭსტხორებდენ მოკლეთა ჟამთა შინა, მამობასა ეკთიმი
წინამძღურისასა, კაცისა დილისა და მოღუაწებით განკათულისასა, და შემ-
დგომად მისა მამობასა დომენტი არხიმანდრიტისასა, სრულიად რჩეულ-
ნი და მაგალითნი მონაზონებისანი, მამანი და ძმანი, მოხუცებულნი და
ჭაბუკნი ვიდრე ოცდა ხუთადმდე (2), რომელნიცა ვერაწასამე ხედიდენ

(2) აქა ჭსტხორებდა მეთურამეტესა საუკუნესა შინა, ჟამსა მღუდელ-
მონაზონებისა თვისისასა, საჩინო იგი გუბნი ქართლის კათოლიკოსი ბე-
სარიონ ბაჩათა შვილი თაქალთოიანი, რომელმანცა განახლას სავანე ესე
და შეჭკრიბნა მას შინა მონაზონნი, სადაცა დასწერა მან წიგნი იგი
გურდემლად სახელდებული, ჯათინთა წინა განსაწყობელი. აქავე და გა-
რესჟის უდაბნოსა შინა ჭსტხორებდა ჟამ რავდენმე სიჭაბუკესა შინა თვის-
სა კათოლიკოს ანტონი პირველიცა, სასწავლებელად სღმრთოთა სწავ-
ლათა და საკმებელად მუნებურისა მონაზონებითისა ცხორებისა: ეგ-
რეთვე სხუანიცა გადამდგარნი ეპისკოპოსნი, და არხიმანდრიტნი, მოსუ-
რენი და მოშურენი მონაზონებითისა ცხორებისა და მუუდრობისანი
ჭსტხორებდიან მათ შინა, ვითარცა ერთი მუნებურთა ძმათაგანი, სიმდაბ-
ლით, მუუდრობით და მოღუაწებით განსწავლებულნი სულითა !

სენაკით თვისით მონასტერსა შინა, გარნა ოდენ სივრცესა უარაის მინ-
დურისასა, ვინაღვან ერისა სისწორესა შინა არს გამოკუჭთილ სრულიად
სავანე ესე, და ამისგამო, ვინაღვან არცა იყო წესი, გერ იხილვიდა ერ-
თი ძმათაგანი მეორესა ძმათაგანსა თვისისა სენაკისაგან, და არცა ესმო-
დათ ურთიერთისა, ვინა ვითხუა წიგნისა, ვინათგან თვის თვისთა ქუბ-
თა შინა შეცუდნი განყოფილ-იუვნენ ერთი მეორისაგან, და შეყოფილ
მესენაკობასა, ლოცუასა, წიგნის ვითხუასა, წერასა და სხუათა ხელთ-საქ-
მართა, და გერ იხილვიდენ ურთიერთარს, არა თუ განგებ, და ვიდრემდის
არა შეკრებოდინ ეკკლესიად, ანუ ტრაპეზად, და ეგოდენთა კრებულთა
შორის დაცულ-იყო ეგკვითარნი ცხოვრება და მოქალაქობა, კრძალულება,
მუუდრლება და ღუმიფი, რომელ მუნ ხილვად მისრულსა უცხოსა ვისმე,
სრულიად უმკვიდრო ეგონებოდის სავანე ესე!

ყოველადვე თიტხელ და განხმელ-არს სავანე ესე ყოველთა მცნაწილთა-
გან უმეტეს დავით გარეჯის უდაბნოსა, ვინაღვან მძვინჴარება მზისა, მკრე-
ბარე გლდეთა მათ შინა ურწყულთა, არა რამესა უტეკებს აღმოცენებად,
თვინიერ მცირეთა ბრატნეულთა, რომელთადა მუშაკობუნ მუნ მცხოვრე-
ბნი ძირთა თანა მათასა, სადაცა მოხუდების წვიმის წყალი, შთამომ-
ვალი მათათგან: ხოლო აწ ნაცუელად დიდისა მის კრებულისა, დაშით-
მილ არს ნუგეშინის საცემელად, მუნ მცხოვრებთა მცირედთა ძმათათჴს
მხოლოდ ოდენ თუალთა შორს მხედველობა, მუუდრლება სენაკთა, მრ-
ვალ გვარნი საკითხავნი წერილნი, და ჭათა შინა წვიმის წყალი გრილად
დაცული; გარნა უმეტეს სიუჴარული წმიდისა მის ადგილისა, ჩვეულება,
ხსოვა და სურვილი ადრინდელისა კანონიერისა მონაზონებითისა ცხოვ-
რებისა და ბაძვისა მათისა, ათმენინებს ყოველსავე მწირობასა და სიფიც-
ხლესა უდაბნოსასა: რამეთუ სული უდაბნოს მყოჴარე, მუუდრლებით და
მოღუაწებით მუნ დამტკობარი, განიცდის ცხოვლად გონებისა თუალთა მიერ
შქადაგებულსა მას სინანულისასა, თვისისა ამის უდაბნოსა მათთა ზედა,
ვითარცა იორდანისა უდაბნოთა შინა, რეცა მავალად და მღალადებულად
«შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ-არს სასუფეველი ცათა»: რამეთუ სიძველე

საკანის მის, და მას შინა ცხოვრებულთა მრავალთა წმიდათა და ღირ-
სთა ძველთა მამათა ცრემლით და ოფლით განპოხებულნი უნდონი იგი
ქრისტიანი კლდისანი, მიაჩნდათ შემდგომად მათსა მცხოვრებთა მონაზონ-
თა უფროს ბრწყინვალეთა და დიდებულთა პატარათა. და ძნელად უჩნ-
დათ მცირესაცა ყამსა განშორებაჲ მათგან (3). და არა თუ ოდენ მათ,
არამედ ზოგად ერთაცა, და ყმათა მის მონასტრისათა, რომელნიცა ჩუქ-
ულ იუჟნენ, მისლჳად მუნ და დღესასწაულობად ივნისის 24-ს, შეკრ-
ცხათ მონასტერი ესე, ვითარცა საუნჯე უძვირფასესი მამა პავლეს თვის-
თა, ესვიდენ მას ვითარცა შთარველსა და მიზრვისა კეთილ-დღეობისა თვი-
სასასა, და მისგამო ჰსთნდათ კლდენიცა მისნი, და მიწასა მისსა ლაშ-
ნიდენ, ხოლო მათ შინა ცხოვრებულთა მამათა რაცხდენ ვითარცა ღუთი-
სა მიმართ მეოხთა თვისთა, და მსახურებდენ მათ ერთგულებითა და სი-
ყუარულითა; ხოლო აწინდელთა ყამთა შინა არაღარა ეგრეთ; სადაცა დაშ-
თომილ არიანლა აწ მრავალთა მათგან, შტატისა შინა, ერთი წინამძღუ-
რი, სამი მღჳდელ-მონაზონი, ერთი მთავარ დიაკონი და ორა მონაზ-
ონი, და სცხოვრებენ ესენიცა მათვე ჯამაგირებით, ვითარცა ძმანი დაკით
გარეგნის უდაბნოსანი.

(3) მრავალნი ძმათაგანნი მოხუცებულან მუნ, რომელნი არაღა გამო-
სრულან სოფლად, არათუ დიდითა იძულებითა წინამძღვრისათა იშვიტი-
სა და საჭიროსა საქმისა რადსათვისმე სამონასტროსა. მაგალითებრ, მოკ-
ლესა დროსა შინა: დიდი გენადი, რომელი იყო ქართლის აზნაურთაგა-
ნი, გუარად თულაშვილი, შთავიდარა სიჭაბუკესა შინა თვისსა, შეჭურვი-
ლი სამხედროთა საჭურველითა ხილვად მონასტრისა ამის. მუის აღმძვრკვე-
ლმან საჭურველისამან, შეიმოსა სახე მონაზონებისა და დაადგრა მუნ ვი-
დრე სიკუდილადმდე, და არაღარა უხილავს მიერ დღითგან სოფელი, და
განკლო მწიკმონაზონებასა შინა ცხოვრება თვისი და აღესრულა პატრი-
ოსნითა სიბერითა ვიდრე ოთხმეოცისა წლისა 1823-სა წელსა.

უდაბნო შუამთისა.

უდაბნო ესე შენ არს კერძოსა კახეთისასა, მარჯვენა თელავისასა, რომლისაგანცა შორავს 5-ითა ვერსტითა, მდგომარე ზიქსა თურდოს ხევისასა, მარჯვნივ საკახეთოსა გზისა, კალთასა ზედა ტყიანისა ცივის მთისასა, რომლისაგანცა სახელი მოსტყალა ძველისა შუა მთის მონასტრისაგან (1) და აღაშენა ამას ადგილსა ზედა ახალი ესე შუა მთის მონასტერი დედოფალმან თინათინ, მეუღლემან ლეონ კახთა მეფისამან მეთექვსმეტესა საუკუნესა შინა, რომელიცა არს ქვით-კირით გარემოზღუდვილ. და მდგომარეებს მას შინა სამხრით კერძო ეკლესია გუმბათიანი ღმრთის-მშობლის შობისა, სიგრძით 7 საყენი, და სიგრძით 4, და 2 ადლი, ხოლო სიმაღლით გუმბათითურთ 12 საყენი, რომლისა კედელნი არიან შიგნი-დამ დახატულ ხატებით, ოქროს გარყით და ლაჟვარდით, და იატაკი დაფენილ ფიჭუნის ქაშანურით, და გარედამ კრამიტით ახლად დახურვილ; ხოლო კანკელი მისი არს მოსკოვს დახატულ, და ახლთა დროთა შინა მოტანილ და დადგმულ ნაცულად ძველის ქვითკირის კანკლისა, წარსაკუბელითა მოსკოვს ცხოვრებულთა საქართველოს დედოფლის მარიამისა და ძეთა მისთათა, და მეცადინეობითა მუნებურის წინამძღურის ქრისტეფორე ჩოლაყაშვილისათა, გარნა საეკლესიოს სამკაულით არს ნაკლულევან. მას შინა არს ხატი ღმრთის-მშობლისა ოქროთი მოღვივლი და თვალმარჯვლით შემკული მისვე დედოფლის თინათინისაგან, რომლისაგანცა

(1) ესე ძველი შუამთის მონასტერი შორავს ახლისა ამის მონასტრისაგან 1-თა ვიდრემდე ვერსტითა სადაცა მდგომარეებენ ჟერეთცა ტყეთა შინა ეკლესიანი და შენობანი დაზღვეულნი გაუქმებისაგან: და ვინაღვან მდებარებს ძველი ესე შუამთის მონასტერი ცივის მთის ორთა ხევთა შორის ბორცუსა ზედა, ამის გამო ჰსწოდებიეს შუამთისა.

ზურგსა, კეტხლის თიხასა ზედა გამოწერილ არს შუშნიერის ასო მთავ-
რულით ესრეთ: « ჩრდილოდ, მთად, კიბედ და ტრახეზ, ბჭედ დაგრ-
« ძალუღად, კუჭრთხად აღუჩაებულად მოგასწავეს შენ წინასწარმეტყუწლ-
« თა ღუთისა დედაო, ქაღწულო უბიწოო: მეცა გქადაგებ ჭეშმარიტად
« ღუთის-მშობლად, იესეს ძირით აღმოსრული ქაღწულო, შენგან შო-
« ბილსა მეუფესა ესრეთ არქუ: გიუჩარ თუ ტბილო ძეო ჩემო ისმინე;
« მამკობსა ჩემსა მეუფესა ლეონს, და თანა მეძცხედრესა ჰატრონსა დე-
« დოთაღს თინათინს ნუ დასჯი რაჟამს განიკითხვიდე კაცთა: შეკამკევით
« ხატი ესე ხახულის ღუთის-მშობლასა მეუფობისა ჩუწნისა წარსამართებუ-
« ლად, სულისა ჩუწნისა სახსრად და ძეთა ჩუწნთა სადღეგრძელოდ ამინ ამინ
« ამინ ». აქა დამარხულ-არს თვით ესე დედოფალი თინათინ, აღმაშენებელი
წმიდისა ამის ეკკლესიისა ჩრდილოთ კერძო წინაშე სამკუჭთლოს კარისა.

ამაკე ეკკლესიას აქუს ჩრდილოეთით ზედმიდგმული გარედამ მცირე
ეკუდერი სამწირველოდ. ამაკე ჩრდილოეთით მდგომარებს ოთხკუთხედი
ქვითვირის გოშვი სამსართულიანი და მას ზედა გუმბათი სამრეკლოდ,
გარნა რავდენმე ვნებულ არს გოშვი ესე მუხის-ტუხისა მიერ. ხოლო სე-
ნაკნი ძმათანა არიან მუნ ოთხნი ქვითვირისანი, ამათგანი წინამძღუწი-
სა და კანახეისა ორ ორ სართულიანი, და სხვანი რომელნიმე ხისა და
რომელნიმე ტაღახით ნაშენნი. თვით მონასტერი ესე მდებარებს შუშნი-
ერსა ადგილსა ზედა, რომელსა ყოვლით კერძო ავლიან ტყიანნა მთანი,
და ნაყოფიერებს რომელთამე ხეხილითა და ბოსტნეულებითა. ხოლო წყა-
ლი შეტანილ-იყო მიღებით თვით მონასტერსა შინა ცივის მთისაგან,
რომლისაცა არა მრავალი წელი არს ვინათგან მოსწყდა მომდინარეობა
მისი მიღთა შემუსრვისაგამო; გარნა მახლობელ მონასტრისა სამხრით
კერძო გამოხდის მთისაგან ხეკსა შინა გრილი წყარო უხუად გამომდი-
ნარე და მას ხმარობენ მკვიდრნი მის მონასტირისანი; სადაცა დაწესე-
ბულ არს აწ შეტატით ერთი წინამძღუწარი, სამი მღუდელ-მონაზონი, ორი
იეროდიაკონი, და ორი მარხილი, და სცხორებენ ესენიცა მითვე ჯამა-
ვირებით, ვითარცა ძმანი ზემოხსენებულთა უდაბნოთანი.

უდაბნო ღირსისა და საკვირველთ-მოქმედისა ძამისა
ჩუჭნისა შიო ძღვიძელისა, ათცამეტთა სირიელთა
ძამათავანისა.

ესე მღებარებს კერძოსა ქართლისასა, ღრმასა ხეობასა შინა საჩ-
კინის მთისასა, ზირის-ზირ სოფლის ძეგვისა, ჩრდილოდ კერძო მდი-
ნარისა მტკჭრისა, რომლისაგანცა შორავს ვერს ნახევრითა ოდენ; ხო-
ლო მცხეთიდა მ ჩრდილოდ დასავლეთსა ზედა ხუთითა უკუჭ ვერსტითა.

ესე ახალი ხაღჭარკვი ქორათისა, სამალავი ილია წინასწარმეტყუჭლი-
სა, სადა გამოზრდიდა მას ყოჩანი, ლტოლვილსა აქაბისგან; ხოლო აქა
ახალსა ამას ილიას ღირსსა შიოს ტრადი, დაფარულსა ნაზრალსა შინა
კლდისასა, გარემოზღუდვილარს ბუჩებითა ზღუდეთა მიერ, ესე იგი,
მაღალთა და ჯაგნაროვანთა მთათა და ბორცუთაგან, წვიმის ღჭართაგან
დარღუნითა, რომელთაცა საშუალი სივაკე, გინა ფერდნი, განშუჭნებულ-
არინს ზათვრულით ზირად ზირადთა უჭავილთა და მწუხანეთა მიერ, რეცა
ძვირფასთა ნოხთა მიერ დაგებულნი; სადაცა აღმოსავალით კერძო სიღ-
რმედ შთამავალი ციცები გზა მისი წარმოუღვენს უჩვეულსა თუალსა სა-
შინელებასა, და მუხლთა შეუდებს ძრწოლასა, რომელსა ზედა შთასღუა ძნელ-
არს თინიერ არგნისა.

უდაბნო ესე აღშენდა თვით სიცოცხლესავე შინა ამის წმიდისასა, რომ-
ელსაცა შეუდგენ მრავალნი, მონოზონებისა მისისა ფიცხელსა ცხოვრე-
ბასა, არა მხოლოდ ქართუჭლნი, არამედ ჩაოღენნიმე სპარსნიცა და საჩ-

კინოზნი, და იქმნა ლაკრა დიდი და ვრცელი, სადაცა აღვიდოდა რიფ-
ხვი მუნ მცხოვრებთა მონოზონთა ვიდრე შვიდასდმდე, ვითარცა მოუთხ-
რობს ცხოვრებაჲ ღირსისა ამის, რომელთაცა სავანენი (1), გინა სენაკნი
დალათუ უმრავლესნი ნაწილნი ჩამომსდგულელ და უჩინო ქმნილ არიან
წვიმის ღრუბრთაგან და უამთა სიგრიძისა, გარნა იხილვებიან დღესაც მრავ-
კალნი ქუჩანი ფრიად მაღალთა, ციცაბოთა და უგზოთა მათთა მათ შინა (2)
გამოგუწმთილნი, რომელნიცა მოაჭვილ არიან ყოვლით კერძო რიუის ქვი-
თა, რეცა კვლავნებით ქმნილნი მოსაიკურად, და მტკიცედ შემტკიცებულ-
არიან გირის მსგავსთა ქვიშათაგან ბუნებითად უმტკიცეს გირისა, და დამ-
კვიდრებულ-არიან აწ მათ შინა უდაბნოს მოუჭარენი დიდროზნი ორბნი
დაბერებულნი !

აწ უდაბნო ესე მიწევნილ არს თუთ უკანასკნელსა მდგომარეობასა ში-
ნა, სადაცა იხილვებისლა ხეობასა მას შინა, 1.) ეკვლესია უგუმბათო-
ღრუთის-მშობლის მიცუალებისა ქვითგირით და აკურით ნაშენი შეათერთ-
მეტესა საუკუნესა შინა, მეფისა მიერ დავით მესამისა, აღმაშენებულად
ზედ წოდებულისა, რომელიცა არს სიგრძით 14 1/2 საყენი, და სიგრიცით
8 1/2, ხოლო სიმაღლით 9 1/2 საყენი. განკელი მისი არს ძველადვე ქვით
გირითავე ნაკები, რომელსა შინა სხუნან ხატნი, რომელნიმე ფიცარსა და
რომელნიმე ტილოზედ ნახატნი, და არს ყოვლითურთ ცუდსა მდგომარე-
ობასა შინა ვრცელი ესე და კანონიერად ნაკები შუწნიერი ეკვლესია.
ხოლო ქქონან საკურთხეველსა მისსა ორისავე მხრით ეკუდენი უკანკე-
ლონი; და ეკვლესიასა სარკმელნი, ერთი საკურთხეველსა, სამნი სამხრე-
თის კედელსა, და ერთი თაკსა ზედა დასაკლეთის კარისასა; და სრულად
ეკვლესიასა აქვს მოცრცვილ გალესილობა და მხატრობა დენითა მას ში-
ნა წვიმის წყლისათა, რომელიცა უაფილ-არს, ძველად დახურვილ ვრცელ-

(1) ამის გამო ეწოდების მთასა მას სავანეთიცა.

(2) მთა ესე არს არა კლდისა, ვითარცა მთანი ზემოხსენებულთა მო-
ნასტერთანი, არამედ სრულად სიბისა, გინა რიუის ქვისა.

თა და მტკიცედ გამოძწებათა თიხის ლოთინთა მიერ, და აწ სრულად შემუსრვილ და აუჩილ არიან, გარნა სხუბრ ჭსდვას ეკვლესია ესე მტკიცედ და შეურყევლად, ვითარცა ახრვანი გმირი: და უკეთუმცა გულთა აწინდელთა განათლებულთა ქრისტიანეთასა ჭსდვეკდა ადრინდელი სარწმუნოება, სასოება და მხურჭალე სიუკარული საღმრთოსა საქმისა მიმართ, ადვილადმცა შესაძლო იყო განახლება ვრცელისა ამის და შუწნიერისა ტაძრისა! ხოლო საეკლესიოთა ჭურჭელთა და ნივთთაგან ფრად დაგლახსკებულ არს ესე, ვინადგან დანაშთენნიცა ნივთნი მისნი მოხმულ-არიან ტფილისის ფერისცმებადების მონასტერსა შინა, რომელსა ზედაცა მიწერილ-არს უდაბნო ესე. ამა ეკლესიასა აქუს დასაკლეთის მხრით მიღგმულ ზალატი ქვითვირით ნაკები, გარნა სიძველისაგან დაქცეული, რომელიცა არს სიგრძით 6 1/2 საყენი, და სივრცით 2 საყენი და 9 ჩარქი. ამას ზალატსა ზედა არს მიღგმულ მთხ კუთხედი ქვითვირის კოშკი, რომლისაცა ბჭისაგან შევალს ვარი ხსენებულსა ზალატსა მას შინა, და ზალატისა მისგან შევალს ხსენებულსა მას დიდსა ეკლესიასა შინა. მარჯუნივ ამა კოშკისა არს სახაბაზო დაქცეული, ხოლო მარცხნივ, ძველი მარანი ქვითვირით ნაშენი, და მისს რიგზედ მოკიდებულარს ექვსი სენაკი, ახალთა დროთა შინა ცალახით და აგურით ნაშენი, რომელთა შინა სცხოვრებენ აწინდელი ძმანი, და სხუა არა რამელა არს ამას ნაწილსა შინა ძველთა შენობათაგანი: ხოლო იგურდივ შენობათა ამათ ყოფილი გალავანი დარღვეულ-არს ვიდრე საფუძველადმდე.

2) სამხრით კერძო დამარტებით ზემოხსენებულთა მათ შენობათასა არს ძუწლი ეკლესია წმიდისა ნათლის-მცემლის შობისა, თლილის ქვით ნაშენი გუმბათიანი, რომელიცა აღაშენა ქართლის მეფემან ფარსმან, მეექვსესა საუკუნესა შინა, თვით სიცოცხლესავე წმიდისა შილსა, და შესწინა მან მონასტერსა მას დაბანი და აჯარაკნი და მრავალნი საეკლესიონი სამკაულნი ოქროსანი და ვერცხლისანი გუჯარათა დამტკიცებითა. ესე ეკლესია არს შიგნიდამ სიგრძით 12 საყენი და ნახევარ ადლი, და სივრცით 3 1/2 საყენი, ხოლო სიწილლით გუმბათითურთ 6 საყენი, რომე-

ლიცა მიდრეკილ არს დაწვრილებისადმი სიძველისა და განუახლებლობისა
გამო: ხოლო ეკუდრნი ქონან ოთხნი, ორი მარჯვენით, ერთი მარც-
ხენით, და ერთი დასავალით კერძო უკანკელონი და დაწვრილებნი, და შე-
სავალსა ბჭესა მისა ზედა მდგომარებს მომცრო გუმბათი სამრეკლოდ
აგურით ნაშენი. განკელი ეკლესიასა ამას არღარა აქვს თვისი ძველთა-
განი, არამედ ახალი ფიცილისა ფრიად ლიტონი, და მას ზედა მიკრულ-
არის ლიტონად ხატნი ტილოზედ დახატულნი. საშუალ ამ ეკლესიისა
არს ბანი მღვიმისა მის (3), რომელსა შინა ცოცხლივ შთანდა ღირსი
შიო, ყამსა სიბერისა თვისისასა, რომელი ჰყოფდა მრავალთა სასწაულთა
და ნიშებთა პირველ მიტყალებისა და შემდგომად მიტყალებისაცა, ვითარცა
აღწერილ არის კრცლად ცხოვრებასა შინა მისსა, და დასრულნა დღენი
ცხოვრებისა თვისისანი მღვიმესა მას შინა აღმოუსლკელად, და მუნვე და-
იდუა მრავალ-მოღვაწე გუამიცა მისი საფლავსა შინა, რომლისა ლუსკუ-
მა შექერწილ იყო პირველად წმიდნითა ოქროდითა, და შემდგომთა ჩაოდენ-
თამე წელთა ხმარებულ-იქმნა იგი საჭიროთა სახმართა ზედა მონასტრი-
სათა. ხოლო ჩაოდენნივე ნაწილნი ძუალთა მისთანი ძველადვე აღმოხ-
მულნი საფლავისა მისგან მდებარე არის მისვე ეკლესიასა მარჯვნივ კე-
დელსა შინა განგებ მისთვის ქმნილსა, ამბოჩის საყოფელად ერთა მუნ დღე-
სასწაულობად მისრულთა, რომლისაცა ხსენება აღესრულების საკუთრითა
აუღლოთიითა ყველიერის კვირიაკესა დღესა ხუთ შაბათსა.

მანლობულ ამ ეკლესიისა მდგომარებს ძველი ჰალატი ქვითკირით ნა-
შენი, სიგრძით 8 საყენი და ორ-ადღ ნახევარი, და სიგრძით 2 საყენი და
ორ-ადღ ნახევარი, რომლისაცა დაწვრიულ არს ცაჲ და მიდრეკილ-არს

(3) მღვიმე ესე არს მსგავსი ორმოსა, პირ ვიწრო და ძირ ფართო,
რომელსაცა აქვს სიღრმე $4\frac{1}{2}$ საყენი, და სიფართო ძირისა 2 საყენი და
ყოფლითურთ ბნელ, რომელიცა არს ყოვლითკერძო ბუნებითად რიყის
ქვით მოჭედილი, და არა ჩაჲმე არს მას შინა, გარნა ლუსკუმა წმიდისა
მის ლიტონად ქვითკირით ნაგები.

დაცემად. ამა ზღაპრულად შეისწავლის ხსენებულსა მას მღვიმესა შინა, რომლისა შესავალი გზა და კარი შემდგომთა ყაბთა შინა ღირსისა მის გარდაცვალებისათა არს გამოჭრილ და თლილის ქვით გამოშენებულ კედლები გამარქდად; ხოლო სხუანი შენებანი გარემოს ამა ეკკლესიისა სრულიად უჩინო ქმნილ არიან.

3) სამხრეთ-აღმოსავლეთით კერძო ამა მონასტრისა მდგომარეობს წვერსა ზედა მალისა ბორცვისასა მცირე ეკკლესია ქრისტეს ჯვარცმისა ქვით-კირით ნაშენი ძველადვე, რომელიცა იქმნების სიგრიძით 3 საყენი, და სიგრძით $1\frac{1}{2}$. და მასთანა სამრეკლო გუმბათი ქვითკირისავე, და ორნივე მტკიცედ და შეურყეველად გებულნი, სადაცა აღსრულსა და მუნით შორთა ადგილთა განმჭურეტსა, წარმოუდგებიან თუელთა სასიამოვნონი სახილველობანი, მთანი მადნაროვანნი, მდინარე მტკუნარი მსწრაფლად წარმდენი, ველნი პირუტყუთა, ყვავილთა და ყანათა მიერ განშენებულნი, დაბანი ვენახთა მიერ შემკულნი, და ყოველნი სუფუქანი სოფლისანი და დიდება მისი. ხოლო ნაპრაღი კლდისა მის, რომელსა შინა ჭსტხოვრებდა ღირსი შიო პირველად მარტოებით არავისგან მეცნიერი, სადაცა ჭზოვა იგი ევაგრი, მთავარმან ციხე-დიდელმან ნადირობასა შინა, და პირველად იგი დაემოწათა მუხი, არს ბორცუსა მას ქუჩაჲ, ქუჩაჲ მონასტრისა ამის განშორებით ვერსის მეოთხედითა, რომელიცა არა სხუა რამე არს, გარნა ნახევარ თვარულად გამოკუჭთილი რიყიანსა ბორცუსა მას შინა, მქონებულნი კაცის სიმაღლისა და ეგრეთვე სიგრძისა, რომლისადა წინაჲ ჭსდვას მცირე ეკკლესია საყაძედ ქვითკირისა შეურყეველი, რომელსადა ექმნების სიგრძე ოთხი ადგი და სიგრძე ორი ადგი.

ხოლო საქმესა წყლისასა არა რასა მივაჩემებ მე, გარნა ოდენ მადლსა მის ღირსისასა და წყალობასა ღმრთისასა! რამეთუ არა სადა იხილვების განხმელსა და ურწყულსა ხევსა მას შინა არცაღა მცირე სინოტიე რამე, გარდა მხოლოდ ერთსა ოდენ ადგილსა, მცირედ ქუჩაჲ მარე ამის მონასტრისა ხევსა შინა, სადაცა შეთხრილ-არს ვიდრე ოთხ საყენადმდე, და იხილვების სინოტიე მისი სიშავითა და სიღბილითა მის ადგილისა-

თა, და მუნით გამოსდის წყარო სიწილად ძაოვისა, და შთადის მის წინაშე დათვლულს ქაფოსა შინა, რომლისგანცა შესაძლებელ-არს აღმოკსებად დღესა და ღამეისა შინა ძლივლა ოც ბუტილკადმდე. რომლისა დინებასა არს მოკმატების არცა მოაკლდების არცა ზაფხულით და არცა ზამთრით, დაღათუ მრავლადცა ეცადნენ ადრინდელნი მუნ მცხოვრებნი მამანი უშინაგანეს შეთხრით და მრავლის ღონისძიებით, გარნა ჰგვიეს ერთსაკუ მომდინარეობასა შინა, და არს სასმელად ტკბილ, წმიდა და უვნებელ. ხოლო ხეხილთაგანცა და ბოსტნეულთა მოკლებულ არს აწ მონასტერი ესე, ვინადგან არღარა ვინ არს მუნ მოქმედი მათი, სადაცა ჰსცხორებს მხოლოდ ერთი მღუდელმონაზონი ერთის მორჩილითურთ დასაცემლად ადგილისა მის.

ამას მონასტერსა აქეს ძველის ბიბლიოტიკისა თვისისგან დაშთომილნი რაოდენნიმე წერილნი ეტრატზედ ნაწერნი; ერთსა მათგანსა იოანეს გამოცხადების თარგმანსა შინა სწერია ესრეთ: ღირს ვიქმენ უღირსი და ცოდვილი საბა კახი დაწერად კელითა ჩემითა წმიდასა ამას და ჭეშმარიტსა წიგნსა გამოცხადებისასა, და სხუანი: დაიწერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ულუმბოს. საყოფელსა წმიდისა ღუთის-მშობელისასა, ლავრასა შინა, სახელით გრანისა, მეუობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, ჰატრიაჩხობასა ანტონისსა, და თიტხელად განდგომილებასა ვარდა სკლეროსისსა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოხრებასა გლახკოთასა და აღწუკდასა ჭაბუკოთასა უწყალოდ ურთიერთარს მახვილითა, ძმა ძმასა ზედა და მამა შვილსა ზედა; ესე ყოველი იქმნებოდა ამას რა წიგნსა ვსწერდი, ხოლოთუ ძლევა ვის მიეცემოდა არკინ უწყოდ: თვინიერ ღუთასა, ყოველნივე ურთიერთარს ეკვეობოდეს სიტყვით და საქმით, მცირენი და დიდნი ყოველნივე იბრძოდეს; დასაბამითგანნი წელნი იუჟნეს 6582.

ამასვე ბიბლიოტიკის ეტრატზედ ნაწერს სახარებაში ჰსწერია ესრეთ: დაიწერა წმიდა ესე ოთხთავი დიდსა უდაბნოსა მღვიმისასა, საყოფელსა წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოსსა, კელითა გიორგი ხუცესმონაზონისათა, დასაბამითგან 6804.

მონასტერი ქუთათხევის ღუთის-მშობლის მიძინებისა.

მონასტერი ქუთათხევის ღუთის-მშობლის მიძინებისა.

ესე მონასტერი არს ქართლს, გამოღმა მხარსა შინა, განშორებით ტფილისითგან კიდრე 50 სუკსტადმდე, ყრუსა და ტყენარინსა მთასა შინა კაკთის ხეობისასა, მდგომარე მცირესა სიკაკესა ზედა, რომელიცა არს მალღის მთებით და აყრილის ტყით გარეშეცული, და არს რომღისსამე მხრით აქეს შორს სახილკელობაჲ, სადაცა ქუჭშე მონასტრისა ამის შთავლის ხევი კაკთის ხეკად წოდებული, რომელსა შინა მძათრინ მომდინარესა წყალსა ეწოდების კაკთურა, და არს იგი წმინდა, ცივი, სასმელად ტკბილი და უვნებელი, და რაკდენშე კალმახით ნაყოფიერი, რომლისა გარეშე სხუა არს რამე თევზთა განი ზის მას შინა. ამას ხეკსა ეწოდების კუჭლად ქუთათხევიცა, ვინადგან საუსე არს ხევი ესე დიდროანთა ლოდთა და ქუთათ მიერ, და ამისგამო ჭსწოდებიეს მონასტერსა მას ქუთათხევის მონასტერი. ესე ხევი შთავლისრა მთასა მას, განვალს სიკაკესა ზედა სოფლის წინარებისა და კაკთისხევისათა და მოწწყავს აკაკათა და კენახთა მათთა, და დასასრულ შუერთვის აღმოსავლეთით კერძო მდინარესა მტკუჭარსა, სოფლისა თანა ქუჭშო ხანდაკისა, რომელსა შინა შთაჭყრის ლოდთა, უამსა დიდროობისა თვისისასა, უმეტეს 20-ისა და 15-ს თუთისათა სინძათრითა და გრგვინვითა თვისითა.

ხოლო აღაშენა მონასტერი ესე, მეტეჲმან დავით მესამემან, აღმაშენებელად ზედწოდებულმან, 11-სა საუკუნესა შინა მეოთმან, სადაცა მდგომარებს ყოვლად-შუჭნიერი ეკკლესია ღუთის-მშობლის მიძინებისა, თუთ-

რის თლილის ქვით ნაშენი, (1) რომელიცა არს შიგნიდამ სიგრძით 9 სა-
ყენი, სიგრძით 5 საყენი და ერთი ადგი, ხოლო სიმაღლით 10 საყენი
გუმბათითურთ, რომლისაჲცა სარკმელთა გარემონი კიდურნი, და ყოველნი
სარკმელნი და ლაგარდანი მის ეკლესიისანი განშუქნებულ-არიან ყოვლად
შუქნიერთა კელავნებათა მიერ, სხუათა და სხუათა ნახტათა და ყუჩვილ-
თაგან ქუათა ზედა გამოქმნილთა.

ესე მონასტერი აღაოხრარა უსჯულმან ლანგთემურ, შეიპყრნა მუნ
მეოთხნი მოწესენი, შეჭყარნა ამას ეკლესიასა შინა და გამოსწუნა შიგ ცე-
ცხლითა, და იაკარ ჭყო ყოველი სიმიდრე მისი, და მიერ დღითგან არ-
ღარაჲნი შევიდოდნა მას შინა ფერხცმული, არამედ შიშუელითა ფერხითა
შევიდოდნიან მას შინა, და თაყუანისჭსცემდიან ტაძარსა მას და იატაკსა
მისსა, რომელსა ზედა დაწუნენ წმიდანი იგი მოწამენი. ხოლო მონ-
ასტრისა ამის ძველთა და დიდთა შენებულებათაგანი, არღარა რადე არს
დაშთომილ, გარნა მხოლოდ დიდისა ჰალატისა ოთხნილა კედელნი, და
გალავანი დარღვეული. ესე ძველადვე იყო საქართუჭლეს მონასტერთა
შორის უპირატესი სხუათა ყოველთა მონასტრული წესი
და კანონი მისგან ზერობილი იყო მაგალითად და ხელთ-მძღუანუელად
ყოველთა მონასტერთა, ვითარცა განაცხადებს გუჯარი მისი, ჭთულობდა
იგი დიდსა უმასა და მამულსა მეფეთაგან შეწირულსა; გარნა გაუქმებასა
საქართუჭლესა შინა საკათალიკოსოს კათედრისასა იწყო მან შემცირება
ყოველთა შინა ნაწილთა, და დასასრულ დაცალიერდა და მიიწია გაუქმე-
ბასა შინა: ვინადგან უკანასკნელი წინამძღუარიცა მისი დოსითეოს ფიც-
ხელაური, გარდაჭყუა რა რუსეთს კათალიკოსს ანტონი მეორესა, და მუნ
აკურთხეს იგი მღუდელთ-მთავრად, მიერ უამითგან არღარაჲნი სცხორებ-
და მუნ გარდა ერთისა მოხუცებულის მღუდელ-მონაზონისა, რომელიცა

(1) ქუანი ესე არიან სრულიად წკრილთა ლეკოკინათაგან შემდგარნი
შეგჭამებულნი და გაქუაებულნი, რომელსა სახელსდებენ ბერძულად სპონ-
დიოდ.

ზრდიდა მუნ და ასწავლიდა საღმრთოსა წერილსა შვილთა სამღუდელთასა, და თვითცა გამოიზრდებოდა მათგან საჭიროთა საზრდელითა მას უამადმდე, ვიდრემდის მოიხილვიდა მონასტერსა ამას საქართუჭლოს ქსარხოსი მიტროპოლიტი იონა, რომელმანცა დახშა მონასტერი ესე, და მღუდელ-მონაზონი იგი გარდაიუყანა შიო მღვიმის მონასტერსა შინა; ხოლო ხატი ტაძრისა მის ვლახერნის ღუთის-მშობელისა, და საუკლესიონი ნიკონი მისნი მოაქცივნა ტფილისის მონასტერსა შინა, და იყო დაშხულ ვიდრე 1848 წლამდე; გარნა ერნი ქართლისანი არა დასცხრებოდეს ჩვეულებრივ ყოველ წლივ მისლვად მუნ და დღესასწაულობად აგვისტოს 15-ს დღესა, ღუთის-მშობლის მიცნალებისასა.

ხოლო ამას წელსა შინა განაღვიძა ყოვლად-წმიდამან ღუთისა დედამან, სული კეთილ-მსახურისა და ღუთის-მოყუარისა ბრწყინვალის თავადის იოანე თარხან-მოურავიანისა (2), და იყო მან უწმიდესის სინოდის შუამავლობით, და უმაღლესის ნებართვით განახლება მონასტრისა ამის; და არწმუნა მან განახლება და მეურნეობა მისი, სამღუდელოსა ჰიქსა ვისმე, საწმუნოსა და სანდოსა მეგობარსა თვისსა, რომლისა მოქმედებითა და გულს-მოდგინებითა განახლდა მონასტრისა ამის ეკკლესია, გარედამ თლილის ქვით კედლები ხარისხებითურთ და ლაგვარდნებით, გუმბათი ლაგვარდნებით და ქორაფუშით და ჭკარის დაღვით, გარდაეკრა ტუკია გუმბათს და ოთხსავე ზემოთს სამხრიებსა, ხოლო ქვემოთი ოთხი სამხრი დანხურა კრამიტით: შიგნიდამ გაილეს ეკკლესიას სრულებით გაჯით, და საკურთხეველი საშკვეთლოთურთ და ამბიონით დაფენილ იქმნა თლილის ქვით. ხოლო კანკელი აღმართებულ-არს მას შინა შუჭნიერი პეტრობურღს ქმნილი ოქროთი ცურკებული და ხატები ვეცხლით შექერწილ, და გუმბათში

(2) ესე იყო მამით, ქე ლუჩასაბ თარხან-მოურავიანისა, და დედით საქართველოს მეფის 13 გიორგის ასულის სოფიას შობილი, და მსახურებდა მას უამსა რუსეთში უაზახის ლვარდის ზოლოკოვნიკად, განსწავლული პაუების კორპუსსა შინა.

დამოკიდებულ არს ხომღი დიდი ოქროთივე ცურვებული, რომელი ესე წარმოგზავნილ არიან მისვე თარხანოვისაგან რუსეთით.

აწ ახალნი შენობანი არიან მონასტრისა მას შინა ათნი სახლნი და სენაკნი, ერთი სახაბაზო, ერთი სამწესრეულო, ერთი საჯინიბო და ერთი საკუჭნაო, და აწცა მცირედ მცირედ შენდებიან საჭირონი კერძონი მისნი შეძლებისამებრ მისვე მონასტრის მეურნისაგან.

ოდეს სრულ იქმნა განახლება ტაძრისა ამის, მაშინ მოუქცია მონასტრისა ამას სულელებანი მთავრობამ ტაძრისა ამის ხატი ვლადიმირის ღმთისმშობელისა, და რომელიმე საეკლესიო ჭურჭელი; და ჰყო ენკენია ტაძრისა ამის თვით მისმა მაღალ-ეოვლად-უსამღებლოესობამან საქართუჭლოს ექსარხოსმან მიტროპოლიტმან ისიდორემ დიდითა დღესასწაულობითა თუჭსა ოკლემბურსა 3-სა წელსა 1854-სა.

ამას ეკლესიასა შინა არს დამარხულ საქართუჭლოს დედოფალი ხვარაშან მეფის 12-ის გიორგის მეუღლე, მარცხნივ წინაშე ტაძრის ღმთისმშობლისა მის ხატისა: ამას ხატსა აკრავს ზურგზედ ჟვარი, და მას ზედა არს წარწერილ ესრეთ: «ჰი ღრუბელო ხათლისაო და კიდობანო
« ჰჯულისაო, მაყუალო შეუწველო, რომელი გიხილა მოსე, ჩუჭნ ცუა თა-
« რუად თერთეთა თქუჭნთა ქუჭნე მოღტოლვილმან, დიდისა და სახე-
« ლოვნის მეფის გიორგის თანამეცხედრემან, სამის სახელმწიფოს სარ-
« დლის მიქელაძის ასულმან, დედოფალმან პატრონმან ხვარაშან, კი-
« ნებე შემკობა შენი, ყოველთა შემამკობელო სასოო ჩუჭნო ქუათახე-
« ვის ღმთის-მშობელო, რომელი გიხილე ავაზაკთაგან გაძრცვილი პირ-
« უჭლ, და აწ მეორედ ჩუჭნ შეგამკეთ პატრონსად რათა შემწე გვეყო
« წინაშე ძისა შენისა და მეუფისა ჩუჭნისა; ოდეს გამკობდი მას უამსა
« მოიწია ჩუჭნ ზედა განხინებული სიკუდილი და განსლუა უხნოსა სოფ-
« ლისაგან; აღკესრულე და არს სამარხო და განსასუჭნებელი ჩემი წინა-
« შე შენსა, დედაო ხათლისაო შენ შემწე მეუავ: ადამს აქეთ შვიდი ათას
« ორას სამსა. ქორონიკოს ტვკ. აღკესრულე თებერვლის კდ, დღესა
კვირიაკესა, უამსა პირველსა.

ხელთ სხენებულნი იგი განმანახლებელი ტაძრისა ამის, თავადი იოანე თარხანმოურავიანი, რომელიცა გარდაიცვალა სამსახურსა შინაგოსიისასა, ვერტო ქალაქსა შინა, ჯიჟუღანდიის ღუბერნიისასა 1855 წელსა, 14 დეკემბერს, სადედგანცა მოტანილ იქმნა უმაღლესის ბრძანებით და ხარჯით, დაიმარხა ამავე ეკლესიასა შინა მარჯუნივ, წინაჲ ვულთ უქმნელის ხატისა.

მონასტერი ესე შეიქმნა ილი-არს აწ მესამე კლასის მონასტრად, რომელსა შინა დაწესებულ არიან შტატით ერთი წინამძღუარი, ორი მღუდელ-მონაზონი, ერთი იეროდიაკონი და ორი მონაზონი, და მსცხვრებენ ესენიცა ჯამაგირებით, მსგავსად შემოხსენებულთა მონასტერთასა, რომელთაცა ეძლევიანთ საზოგადოთა საეკლესიოთა შემოსავლათაგან, წინამძღუარს ოც და ათი თუმანი, მღუდელ-მონაზონთა ექვს ექვსი თუმანი, იეროდიაკონს ხუთი თუმანი, და მონაზონთა ოთხ ოთხი თუმანი წელიწადსა შინა.

ხელთ სხუათა მონასტერთა, ვითარ იგი ბერთუბნისა, დოდდოსი, ჩიხიტურისა, ნათლის-მცემლის წამებულისა, დაუუდებულისა და სხუთა, არა საჭიროდ კრაცხე აღწერა ვინაღვან გაუქმებულ არიან. ა..... ტ.....

ს ი ტ ე უ ა

დღეს შინა იოანე ღმრთის-მეტყველისა.

საუქარელო, ვიუქარებოღით ურთი ერთარს
(1 იოან. 4--7).

მოწათე ქრისტეს სიუქარულისა ჭქადაგებს ქრისტიანობრივსა სიუქარულსა. რითიც არს საესე გუდი მისი, რასვე წარქოსთქუამს სიტუქა მისი. -
